



# ტესტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში

# 2015

## ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პედაგოგთა სასერთიფიკაციო გამოცდის ბუკლეტი, პასუხების ფურცელი და ფურცელი პრაქტიკული სამუშაოსათვის.

ხელოვნების პედაგოგთა საგამოცდო ტესტი შედგება საგნობრივი და მეთოდური ნაწილისგან. საგნობრივი ნაწილი პრაქტიკული დავალების შესრულებასაც ითვალისწინებს.

ტესტის ყოველი ნაწილის შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები მოცემულია ბუკლეტში და თან ახლავს შესაბამის დავალებებს. ყურადღებით გაეცანით ინსტრუქციებს და არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელზე!

წერეთ გარკვევით! ღია კითხვების პასუხები საგანგებოდ ამ კითხვისთვის გამოყოფილ მონაკვეთზე განათავსეთ. ღია დავალებებზე მუშაობისას დაშვებული შეცდომა შეგიძლიათ გადახაზოთ და გვერდით (ან ზემოთ) დააწეროთ სხვა პასუხი.

დახურულ კითხვებზე პასუხების გასაცემად საჭიროა პასუხების ფურცელზე შესაბამისი უჯრედები მონიშნოთ X-ით. თუ პასუხების ფურცელზე უჯრედი შეცდომით მონიშნეთ, მაშინ უჯრედი მთლიანად გააშავეთ და მონიშნეთ სხვა უჯრედი.

პრაქტიკული დავალება პრაქტიკული დავალებისათვის განკუთვნილ ფურცელზე შეასრულეთ! პრაქტიკული დავალების (დავალება 21) შესასრულებლად გადმოგეცემათ ფანქარი, საშლელი და სათლელი.

პასუხების ფურცლის შევსება დასაშვებია მხოლოდ გელიანი კალმით!  
პასუხების ფურცელი, რომლის შევსებისას გამოყენებული იქნება სხვა კალამი, არ გასწორდება!  
პრაქტიკული დავალებისათვის განკუთვნილ ფურცელზე იმუშავეთ ფანქრით!

**არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი და არც პიროვნების იდენტიფიცირების სხვა საშუალება. წინააღმდეგ შემთხვევაში ნაშრომი არ გასწორდება!**

**გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!  
პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!  
ტესტის ბუკლეტი გამოიყენეთ მხოლოდ შაგი სამუშაოსთვის!**

ტესტის მაქსიმალური ქულაა - 70.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ -5 საათი

გისურვებთ წარმატებას!



## I – საგნობრივი კომპეტენცია

1-15 დავალების ინსტრუქცია – სწორი პასუხის შესაბამისი უჯრა პასუხების ფურცელზე მონიშნეთ X ნიშნით.

1. რომელი კულტურის ნიმუშია წარმოდგენილი სურათზე?

- ა. ეგვიპტური;
- ბ. ეტრუსკული;
- გ. შუამდინარული;
- დ. ეგეოსური.



2. რა ეწოდება წარმოდგენილ ხელოვნების ნიმუშს?

- ა. დიპტიხი;
- ბ. პოლიპტიხი;
- გ. ტრიპტიხი;
- დ. პრედელა.



3. რომელი აღწერილობა შეესაბამება სურათზე მოცემული გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის დეკორატიულ გაფორმებას?

ა. სიმეტრიულად აგებული ფიგურული კომპოზიცია ოსტატურად ერწყმის ლარნაკის ფორმას და კომპოზიციური წყობის ჰარმონიული ხასიათით გამოირჩევა;

ბ. ფიგურათა რელიეფური გამოსახულებები ლარნაკის ზედაპირზე, რომელიც წითელი საღებავითაა დაფარული ძველი ბერძნული წითელფიგურიანი კერამიკის ნიმუშს ქმნის;

გ. ფიგურული და გეომეტრიული გამოსახულებების ფრიზისებური წყობა ლარნაკის მორთულობას აღმოსავლურ ხასიათს სძენს;

დ. შუქისა და ჩრდილის მკვეთრი მონაცვლეობით ლარნაკის ზედაპირზე ფიგურები მოცულობით ფორმას იძენენ.



4. რომელი ტერმინით განისაზღვრება ქვის ზედაპირიდან მიღებული სურათის ანაბეჭდი?

- ა. ლითოგრაფია;
- ბ. ფრესკა;
- გ. ოფორტი;
- დ. ლინოგრაფიურა.

5. რომელი ქართული ადრე შუა საუკუნეების ტაძრის ინტერიერია შემკული ფიგურული რელიეფებით?

- ა. მცხეთის ჯვარი;
- ბ. ბოლნისის სიონი;
- გ. ატენის სიონი;
- დ. ნეკრესი.

6. რომელი საუფლო დღესასწაულია გამოსახული გელათის სახარების მინიატურაზე?

- ა. ფერისცვალება;
- ბ. შობა;
- გ. ხარება;
- დ. მირქმა.




7. დააკვირდით მთავარანგელოზი გაბრიელის გამოსახულებას „ხარების“ კომპოზიციიდან, რომელიც ატენის სიონის მოხატულობის დეტალია. რა მხატვრული თავისებურებები ახასიათებს ქართული ფრესკული მხატვრობის წარმოდგენილ ნიმუშს?

- ა. ფიგურის კუთხოვანი, არაპლასტიკური მოძრაობა;
- ბ. უტრირებული ფორმები, მკვეთრი ხაზოვანი რიტმი და დეკორატიულობა;
- გ. ანატომიის ცოდნის საფუძველზე შექმნილი ფიგურის პლასტიკური ფორმები, ენერგიული, მოქნილი ნახატი, სახის რეალისტური, მეტყველი გამოსახულება;
- დ. მკვეთრად უტრირებული და მანერული, ასევე სტილიზებული გამოსახულება.



8. რომელი მხატვრული მიმდინარეობის ნიმუშია წარმოდგენილი ფოტოზე?

- ა. სიმბოლიზმი;
- ბ. სიურეალიზმი;
- გ. იმპრესიონიზმი;
- დ. ფოვიზმი.



9. რომელი მხატვრულ-სტილური თავისებურებებით ხასიათდება სურათზე მოცემული ქართული შუა საუკუნეების ოქრომქანდაკელობის ნიმუში?

ა. მაღალი რელიეფით შესრულებულ სტატიკურ ფიგურებს ოსტატი დეკორატიული თაღების გამოსახულებით შემოსაზღვრავს და მხატვრულ-დეკორატიულ სისტემას ახლებურად გაიაზრებს;



ბ. მაღალი რელიეფით შესრულებული ფიგურებისა და დახვეწილი ორნამენტული მოტივების სინთეზით ოსტატი ქართული ოქრომქანდაკელობის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს ქმნის;

გ. ხაზობრივი, დეკორატიული ხასიათის დაბალი რელიეფით შესრულებულ გამოსახულებებს ოსტატი ფორმათა უტრირების საშუალებით ექსპრესიას სძენს;

დ. მაღალი რელიეფით შესრულებულ წელს ზევით დაგრძელებულ ფიგურებს ფორმათა უტრირება უფრო მანერულობას სძენს, ვიდრე ექსპრესიას.

10. საზოგადოების პროტესტის მიუხედავად, რომელმა მხატვრულმა მიმდინარეობამ დაამკვიდრა ხელოვნებაში მკვეთრი ცვლილებები?

- ა. იმპრესიონიზმი;
- ბ. კლასიციზმი;
- გ. რეალიზმი;
- დ. აბსტრაქციონიზმი.

11. ფერების რომელი წყვილია კონტრასტული?

- ა. წითელი - ნარინჯისფერი;
- ბ. ლურჯი - მწვანე;
- გ. ყვითელი-იასამნისფერი;
- დ. მწვანე - ყვითელი.

12. როგორ ფიქრობთ, რა ტექნიკაშია შესრულებული ალბრეხტ დიურერის წარმოდგენილი სურათი?

- ა. ფერწერა;
- ბ. გრავიურა;
- გ. გობელენი;
- დ. მონოტიპია.



13. რა მასალა იყო გამოყენებული წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად?

- ა. აკვარელი;
- ბ. ტემპერა;
- გ. ცვილი;
- დ. ზეთი.



14. ექსპრესიონისტი მხატვრები ცდილობდნენ გამოესახათ:

- ა. სინათლისა და ფერის ურთიერთმიმართება;
- ბ. რეალისტური გამოსახულებები, შექმნილი ზედმიწევნით დამუშავებული დეტალების საშუალებით;
- გ. გამოსახულებათა დახვეწილი, კლასიკური ფორმები;
- დ. გამოსახვის ობიექტის მიმართ უშუალო ემოციური დამოკიდებულება.

15. ზღვის რომელი მოლუსკისგან მზადდებოდა ყავისფერი საღებავი, რომელსაც კალმითა და ფუნჯით ხატვისას იყენებდნენ?

- ა. ვოლუტა;
- ბ. სეპია;
- გ. პტერია;
- დ. მიდია.

**16-20 დავალება. „ჭეშმარიტია-მცდარია“**

დავალების ინსტრუქცია – ყურადღებით გაეცანით მოცემულ დებულებებს. თუ მიიჩნევთ, რომ დებულება ჭეშმარიტია, მონიშნეთ შესაბამისი უჯრა. ასეთ შემთხვევაში კომენტარის გაკეთება არ მოგეთხოვებათ. თუ მიიჩნევთ, რომ დებულება მცდარია, მონიშნეთ შესაბამისი უჯრა და საგანგებოდ გამოყოფილ არეში ჩაწერეთ სწორი ფორმულირება.

**შენიშვნა:** თუ ფიქრობთ, რომ ფორმულირება მცდარია და თვლით, რომ მტკიცებულებაში მოცემული განმარტება თავისთავად სწორადაა ჩამოყალიბებული, თუმცა მოცემული ტერმინის ან/და სიტყვის ახსნას არ წარმოადგენს, მაშინ განმარტება უცვლელი დატოვეთ და იმავე განმარტებისთვის მოძებნეთ და მიუსადაგეთ შესაბამისი ტერმინი ან/და სიტყვა.

**16. მონოქრომული ფერებით შექმნილ გამოსახულებას კონტრასტული ეწოდება.**

ჭეშმარიტია  მცდარია



**17. საიუველირო ნაკეთობის ზედაპირზე ოქროს უმცირესი ბურთულების ფაქიზ მირჩილვას ცვარას ტექნიკა ეწოდება.**

ჭეშმარიტია  მცდარია



**18. პორტალი კარის თავზე მდებარე ნახევარწრიული არეა.**

ჭეშმარიტია  მცდარია



**19. ვოლუტებიანი კაპიტელი დორიული სვეტის დამახასიათებელი ელემენტია.**

ჭეშმარიტია  მცდარია





20. შავი არ განიხილება, როგორც ფერი.

ჭეშმარიტია

მცდარია



---

---

**დავალება 21. პრაქტიკული სამუშაო**

**ინსტრუქცია** - პრაქტიკული დავალებისათვის განკუთვნილ ფურცელზე გამოსახეთ ურბანული პეიზაჟი ხაზოვანი პერსპექტივის კანონების გათვალისწინებით. კომპოზიციისათვის წინასწარ შეარჩიეთ ფორმატი. ტესტის ბუკლეტი შეგიძლიათ გამოიყენოთ შავი სამუშაოსთვის.

**22-26 ქრონოლოგიის განსაზღვრა.**

**დავალების ინსტრუქცია** – დაალაგეთ (უძველესიდან უახლესისკენ) მხატვრული მიმდინარეობები, მხატვრები, არქიტექტურული და სახვითი ხელოვნების ნიმუშები მათი შექმნის დროის მიხედვით. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. გაითვალისწინეთ, რომ ცხრილში იწერება მხოლოდ შერჩეული ერთეულის შესაბამისი ციფრი.

**22. დაალაგეთ ანრი მატისის ნამუშევრები მათი შექმნის დროის მიხედვით.**

1.



2.



3.



4.



**23. ქრონოლოგიურად დაალაგეთ მხატვრული სტილები.**

- ა. ბაროკო;
- ბ. მანიერიზმი;
- გ. დადაიზმი;
- დ. სიმბოლიზმი.

24. დააღაგეთ ქართული შუა საუკუნეების ქრისტიანული ტაძრები მათი შექმნის დროის მიხედვით.

1.



2.



3.



4.



25. დააღაგეთ შუა საუკუნეების ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი ტიპის ტაძრები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

- ა. გრემი;
- ბ. სამთავისი;
- გ. ბარაკონი;
- დ. ბეთანია.

26. ქრონოლოგიურად დაალაგეთ სხვადასხვა დროს შექმნილი ცხენოსანი ქანდაკებები.

1.



2.



3.



4.




## II – მეთოდика

27. ყველაზე მეტად რომელი მიზნის მიღწევაში დაგეხმარებათ მოცემული აქტივობა?

აქტივობა: შეადარეთ ერთმანეთს შალვა ქიქოძისა და გუსტავ კლიმტის მოცემული კომპოზიციები.



შალვა ქიქოძე



გუსტავ კლიმტი

- ა. ქართული დაზგური მხატვრობის შესწავლა;
- ბ. სახვითი ხელოვნების ქანრების თავისებურებებზე მსჯელობა;
- გ. მსგავსი და განმასხვავებელი მხატვრული ნიშნების ინტერკულტურულ კონტექსტში განხილვა;
- დ. სახვითი ხელოვნების დარგების შედარება.

28. დაასახელეთ, ყველაზე მეტად რომელი კონკრეტული საკითხის განხილვისას გამოიყენებდით გაკვეთილზე ნიდერლანდელი მხატვარის მორის ეშერის ქვემოთ წარმოდგენილ ილუსტრაციას?

- ა. ვიმსჯელოთ გრაფიკის, როგორც სახვითი ხელოვნების დარგის თავისებურებებზე;
- ბ. ამოვიცნოთ და ვიმსჯელოთ ისტორიულ მოვლენაზე, რომელიც შემოქმედის შთაგონების წყაროდ იქცა;
- გ. სტილური მახასიათებლების საფუძველზე მივაკუთვნოთ ხელოვნების ნიმუში კონკრეტულ ეპოქასა თუ მხატვრულ მიმდინარეობას;
- დ. განვიხილოთ ოპტიკური ილუზია და მისი შესაძლებლობები, როგორც ერთ-ერთი მხატვრული ხერხი სახვით ხელოვნებაში.



29. მოსწავლეებს წარუდგენთ ჰოლანდიელი ხელოვანის პიტერ იანსენის ქანდაკებას კინეტიკური ქანდაკებების სერიიდან. რა დავალებას მისცემდით მოსწავლეებს ამ ქანდაკებასთან დაკავშირებით შემოქმედებითი აზროვნების განსავითარებლად?

- ა. აღწერეთ მოცემული კომპოზიცია;
- ბ. მოიფიქრეთ კომპოზიციისათვის ახალი სათაური;
- გ. დაადგინეთ სურათის შექმნის თარიღი;
- დ. გააანალიზეთ მოცემული კომპოზიცია.



30. მასწავლებელი მოსწავლეებს უამბობს მოძრავი (კინეტიკური) სკულპტურების შესახებ და მედიაფაილების საშუალებით აჩვენებს ალექსანდერ კალდერის ცნობილ "მობილებს". ამის შემდეგ იგი მოსწავლეებს სთავაზობს მავთულისა და სხვადასხვა მცირე ზომის ნივთებისგან შექმნან მსგავსი პატარა სკულპტურები - "მობილები".

რომელი უნარის განვითარებას არ შეუწყობს ხელს მოცემული აქტივობა?



- ა. მოტორული უნარი;
- ბ. შემოქმედებითი აზროვნების უნარი;
- გ. ინფორმაციის მოპოვების უნარი;
- დ. ინტერპრეტაციის უნარი.

**31-32 დავალება. შესაბამისობის დადგენა**

დავალების ინსტრუქცია - შეუსაბამეთ A სვეტში მოცემული საგაკვეთილო მიზნები B სვეტში მოცემულ სასწავლო აქტივობებს. გაითვალისწინეთ, ერთ მიზანს მხოლოდ ერთი აქტივობა შეესაბამება.

**დავალება 31.**

საგაკვეთილო მიზნები (A)	სასწავლო აქტივობები (B)
<p>1) სხვადასხვა სახის ბუნებრივი და ხელოვნური რესურსის გამოყენებით მოსწავლეს გამოუმუშავდეს სივრცითი კონსტრუქციის აგების უნარ-ჩვევა.</p> <p>2) გაულრმაოთ მოსწავლეებს აპლიკაციის ტექნიკაში მუშაობის უნარი.</p> <p>3) განუვითაროთ მოსწავლეებს საიფორმაციო-ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენების უნარი.</p>	<p>ა) ავსტრიელი არქიტექტორის ფრიდენსრაიხ ჰუნდერტვასერის „ეკოლოგიური“ და „ბიომორფული“ არქიტექტურული ნაგებობების მიხედვით შექმნან არქიტექტურული ნაგებობების მოდელები.</p>
	<p>ბ) გააანალიზონ ბრუნო კატალანოს მიერ შექმნილი ვან გოგის ქანდაკება და შექმნან ამ ქანდაკების ინტერპრეტაცია.</p>
	<p>გ) შექმნან ცხოველების გამოსახულებები ფერადი ქაღალდების გამოჭრისა და დაწებების საშუალებით.</p>
	<p>დ) იმსჯელონ რომანტიზმის ეპოქის ისტორიულ მოვლენებზე და მათ თავისებურებებზე, რომლებმაც გავლენა იქონია ექვნი დელაკრუას შემოქმედებაზე.</p>
	<p>ე) ფოტონამუშევრის დამუშავებისა და კორექტირების საფუძველზე შეისწავლოს და ჩაწვდეს კომპიუტერული პროგრამების ტექნიკურ შესაძლებლობებს.</p>

**შესაბამისობები ჩაწერეთ მოცემულ ცხრილში**

	ა	ბ	გ	დ	ე
1					
2					
3					



**დავალება 32.**

საგაკვეთილო მიზნები (A)	სასწავლო აქტივობები (B)
<p>1) გაულრმაოთ მოსწავლეებს სხვადასხვა კულტურისათვის დამახასიათებელი ნიშნების აღმოჩენისა და პრაქტიკულ ნამუშევარში მათი გამოყენების უნარი.</p> <p>2) გაულრმაოთ მოსწავლეებს ცოდნა მანუსკრიპტის შესახებ.</p> <p>3) გაულრმაოთ მოსწავლეებს შედარებითი ანალიზის უნარი.</p>	<p>ა) შექმნან ხელნაწერი წიგნი მათთვის საყვარელი ნაწარმოების მიხედვით.</p>
	<p>ბ) შექმნას სხვადასხვა ეპოქისა და კულტურისათვის დამახასიათებელი ნიღბები.</p>
	<p>გ) შეარჩიოს და მოიძიოს მატერიალური რესურსები შესასრულებელი სამუშაოსათვის.</p>
	<p>დ) შეაგროვოს ინფორმაცია მისთვის ნაცნობ ხელოვნების მოღვაწეზე.</p>
	<p>ე) კომპარატიული მეთოდის გამოყენებით იმსჯელოს და გააკეთოს კონკრეტული დასკვნები იმპრესიონიზმისა და ექსპრესიონიზმის შესახებ.</p>

**შესაბამისობები ჩაწერეთ მოცემულ ცხრილში**

	ა	ბ	გ	დ	ე
1					
2					
3					

**დავალება 33. მიზანი-აქტივობა**

**აქტივობა:** *მასწავლებელმა მოსწავლეებს ვიქტორ ვაზარელის შემოქმედების მაგალითზე ოპარტის ხელოვნების პრინციპები და თავისებურებები გააცნო. მსჯელობის შემდეგ მასწავლებელმა მოსწავლეებს შესთავაზა ვიქტორ ვაზარელის კომპოზიციების მიხედვით შექმნან საკუთარი ნამუშევარი. თქვენი აზრით, რა მიზნის მიღწევას ემსახურება მსგავსი აქტივობა?*

**ჩაწერეთ 1 კონკრეტული სასწავლო მიზანი, რომლის მისაღწევადც გამოიყენებდით მოცემულ სასწავლო აქტივობას, დაასაბუთეთ თქვენი გადაწყვეტილება.**

მიზანი

---

---

დასაბუთება

---

---

---

---

**დავალება 34. მოსწავლის ნამუშევრის შეფასება**

**ინსტრუქცია** – ქვემოთ წარმოგიდგენთ მოსწავლის მიერ შესრულებულ ნამუშევარს. ყურადღებით დააკვირდით მას და რჩევის სახით ჩაწერეთ განმავითარებელი შეფასება, რაც დაეხმარება მოსწავლეს, შესწორებები შეიტანოს საკუთარ ნამუშევარში და უკეთეს შედეგს მიაღწიოს.

მოსწავლებელმა VI კლასის მოსწავლეებს გაკვეთილზე პრაქტიკული სამუშაოს შესრულება დაავალა: აბსტრაქციონისტი მხატვრების ნამუშევრების შთაგონებით და სხვადასხვა ფერის გეომეტრიული ფიგურების გამოყენებით შექმენით აბსტრაქციული კომპოზიცია, ისე, რომ ფიგურათა გადაკვეთის ადგილებზე გამოიყენოთ შედგენილი ან დამატებითი ფერი, რომელიც ფიგურების ფერთა შერევის საშუალებით მიიღება.



**ჩაწერეთ:**

---

---

---

---

---


---

---

---

**დავალება 35. სიტუაციური ამოცანა პრაქტიკული უნარების განსავითარებლად**

მოიფიქრეთ და ჩაწერეთ სიტუაციური ამოცანა, რომელსაც შესთავაზებთ VII კლასის მოსწავლეებს ორნამენტის გამოყენების უნარის განსავითარებლად და დაასაბუთეთ თქვენ მიერ შეთავაზებული სიტუაციური ამოცანის შესაბამისობა დავალებაში მოცემულ მიზანთან.

 ჩაწერეთ:

---

---

---

---

---

---

---

---

**დავალება 36. სიტუაციური ამოცანა პრაქტიკული უნარების განსავითარებლად**

მოიფიქრეთ და ჩაწერეთ სიტუაციური ამოცანა, რომელსაც შესთავაზებთ IV კლასის მოსწავლეებს ანაბეჭდის ტექნიკით ნამუშევრის შექმნის უნარის განსავითარებლად. დაასაბუთეთ თქვენ მიერ შეთავაზებული სიტუაციური ამოცანის შესაბამისობა დავალებაში მოცემულ მიზანთან.

 ჩაწერეთ:

---

---

---

---

---

---

---

---

**დავალება 37. გაკვეთილის დაგეგმვა**

**დავალების ინსტრუქცია** - შემოთავაზებული საგაკვეთილო თემის მიხედვით განსაზღვრეთ და ჩაწერეთ ერთი სასწავლო მიზანი, 2 ან 3 სასწავლო უნარ-ჩვევა, რომელსაც განავითარებთ სასწავლო პროცესის დროს, განსაზღვრეთ, დამატებით რომელი კონკრეტული 2 ან 3 რესურსი (სახელმძღვანელოს, რვეულის, კალმის, დაფის და ცარცის გარდა) დაგეხმარებათ სასწავლო მიზნის ეფექტურად მიღწევაში, დაგეგმეთ უნარ-ჩვევებისა და სასწავლო მიზნის შესაბამისი 2 ან 3 სასწავლო აქტივობა, დროის მონაკვეთის მითითებით და განმარტეთ ერთ-ერთი აქტივობის ეფექტიანობა.

**საგაკვეთილო თემა IX კლასისათვის: აბსტრაქციონიზმი და ექსპრესიული აბსტრაქციონიზმი**

სასწავლო მიზანი	უნარ-ჩვევები	რესურსები	აქტივობები (დროის მონაკვეთის მითითებით და აქტივობის ეფექტიანობის დასაბუთებით)

### დავალება 38. ხელოვნების ნიმუშის აღწერა-ანალიზი

გაიაზრეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ ქვემოთ მოცემული ხელოვნების ნიმუში



შეასრულეთ დავალება მითითებების მიხედვით:


**38.1** აღწერეთ და დაახასიათეთ კომპოზიცია: რა თემაზეა შექმნილი მოცემული კომპოზიცია; მასალისა და ტექნიკის საფუძველზე ამოიცანით სახვითი ხელოვნების რომელი დარგის ნიმუშია წარმოდგენილი;

**38.2** გააანალიზეთ და მოკლედ ჩამოაყალიბეთ რა სახვით საშუალებებსა და ხერხებს იყენებს ავტორი მხატვრული სახის ხასიათის შესაქმნელად სურათზე;

**38.3** მხატვრულ-სტილური მახასიათებლების საფუძველზე განსაზღვრეთ ნამუშევრის შექმნის დრო, დაადგინეთ, რომელი ქვეყნის ხელოვნების ნიმუშია წარმოდგენილი, დაასახელეთ ავტორი;

**38.4** შეაფასეთ ნამუშევარი – გამოხატეთ საკუთარი დამოკიდებულება, იმსჯელეთ და დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება;

**38.5** იმსჯელეთ გავლენებზე, განიხილეთ ნაწარმოები ისტორიულ-კულტურულ და ა.შ. კონტექსტში.

 *ხაწვრეთ:*

**38.1**

---

---

---

---

---

---

---

---

**38.2**

---

---

---

---

---

---

---

---

**38.3**

---

---

---

---

---

---

---

---

**38.4**

---

---

---

---

---

---

---

---

**38.5**

---

---

---

---

---

---

---

---